ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5349105

ნომერი: AR1810009

თარიღი : 10.03.2021

გაცემის თარიღი : 02.04.2021

გაცნობის თარიღი : 02.04.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი N 102;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თორნიკე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01017013910
- მთაწმინდის შეს.N8

ორგანიზაცია:
- სს "სილქნეტი" კოდი: 204566978

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი #102, შ.პ.ს მეფე გიორგი IV-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე ს/ს "სილქნეტი"-ს საბაზო რადიოსადგურის ანტენების მონტაჟის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018025975 15/01/2018 17:წ, ს/კ N 81.02.03.989, ჰიგიენური დასკვნა პროექტზე №021/15 08.02.2021წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სოფელი ტაბახმელა, თბილისი-კოჯორის გზატკეცილი #102, შ.პ.ს მეფე გიორგი IV-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობის სახურავზე ს/ს "სილქნეტი"-ს საბაზო რადიოსადგურის ანტენების მონტაჟის განხორციელების შესაძლებლობას.

- ანტენების მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსტრუქციული მდგრადობა.
- გათვალისწინებული და დაცული იქნას ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციები;

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.